BGS

ST. GEORGE’S
GEORGIAN - BRITISH SCHOOL

# წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჯიესის სიახლეები

# News from St. George’s Georgian - British School BGS, Tbilisi

## დეკემბერი / December 2024

# დირექტორი გვამცნობს...

# The Headmistress writes...



ძვირფასო ბიჯიესელებო - მოსწავლეებო, მშობლებო, თანამშრომლებო - გულითადად გილოცავთ ახალ წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!!

წინა წლებისგან განსხვავებით, წელს ბიჯიესში პირველი სემესტრი იანვრის ბოლოს სრულდება. ამიტომ დეკემბერი არ აღმოჩნდა გადატვირთული შემაჯამებელი შეფასებებით თუ პრეზენტაციებით და მეტი დრო საახალწლო სამზადისს დაეთმო.

ტრადიციულად ყველა კლასმა დამრიგებლებთან ერთად მოაწყო საკლასო ოთახები, სკოლის ფოიესა და დარბაზში კი მოირთო დიდი ნაძვისხეები. ჩვენი მოსწავლეების ხელით დამზადებულმა მრავალფეროვანმა ნაძვის ხეებმა პირველი სართულის კედლები დაამშვენა, გვყავდა საინტერესო სტუმრები, ჩავერთეთ საქველმოქმედო აქტივობებში.

ბიჯიესში ზამთრის არდადეგები გამოცხადდა!

გელით სკოლაში 13 იანვარს, 9 საათზე.

Dear BGS members – students, parents, coworkers – Merry Christmas and a Happy New Year!!!

Unlike in previous years, this year the first semester at BGS concludes at the end of January. As a result, December was not packed with summative evaluations or presentations, allowing more time to focus on New Year’s preparations.

Each year-group decorated their classroom together with their form teacher and then everyone participated in decorating school entrance hall and the library with big Christmas trees. The first floor was decorated with colorful, handmade Christmas trees created by students. We also welcomed interesting guests and actively participated in charitable activities.

BGS Winter holidays have begun!

See you on January 13th at 09:00 am.

# თეატრი ბიჯიესში

# Theatre at BGS

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის „იცანი” ერთობლივი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია. ბიჯიესში არაერთხელ გვიხილავს საინტერესო წარმოდგენები. ამჯერად რევაზ ინანიშვილის ცნობილი მოთხრობის - „ლამაზი ცრემლების” მიხედვით დადგმული სპექტაკლი ვნახეთ. ბოლოს კი, ტრადიციულად, მშვენიერი მუსიკალური კომპოზიციები მოვისმინეთ.

ბავშვები განსაკუთრებული ინტერესით უქცერდნენ თავიანთი საყვარელი მოთხრობის ინსცენირებას.









The joint projects of the Public Relations Service of the Patriarchate of Georgia and the cultural educational center "Itsani" are of upmost importance. We have often watched their captivating performances at BGS. This time we enjoyed a staged adaptation of Revaz Inanishvili’s famous story, “Beautiful Tears”. Students watched the stage version of their favourite piece with great interest.

Traditionally, at the end of the show, we listened to lovely musical compositions.

# საინტერესო სტუმარი

# Interesting Guest

მომავალი პროფესიის ასარჩევად უფროსკლასელები სისტემატურად ხვდებიან წარმატებულ, გამოცდილ სპეციალისტებს. ამჯერად ბიჯიესში გვესტუმრა ახალგაზრდა მოქანდაკე - ბექა ჩხაიძე. იგი პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა სამხატვრო აკადემიასა და ტექნიკურ უნივერსიტეტში. მან ძალიან საინტერესოდ ისაუბრა საკუთარ პროფესიის შესახებ. მსგავსი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია.

Our senior students regularly meet with experienced specialists from various fields in order to choose their future profession. In December, we were visited by a young sculptor Beka Chkhaidze, who also teaches at the Art Academy and the Technical University. He spoke very enthusiastically about his profession and how he decided to become a sculptor. Such meetings are very useful for students.





# განსაკუთრებული დღე

# A Special Day



Every school has special days. In BGS such special dates are May 6 and December 19.
Why December 19?
As we know, the tradition associated with the name of St. Nicholas originated in the city of Cologne in the tenth century. Every year, on December 19 (St. Nicholas Day), parents filled their children's boots with gifts and told them that they were brought by St. Nicholas, the patron saint of children. This is how St. Nicholas Day used to be celebrated in Europe from the 10th to the 16th century. Later, children's beloved December 19 was replaced by December 25, and the name of St. Nicholas was changed into Santa Claus.





ყველა სკოლაში არის გამორჩეული დღეები. ბიჭიესში განსაკუთრებით აღვნიშნავთ 6 მაისსა და 19 დეკემბერს. რატომ 19 დეკემბერი?

როგორც ვიცით, ქალაქ კიოლნში, მეათე საუკუნეში წმინდა ნიკოლოზის სახელთან დაკავშირებული ტრადიცია დამკვიდრდა. ყოველ 19 დეკემბერს, ნიკოლოზობას, პატარებს ფეხსაცმელებში საჩუქრებს უდებდნენ მშობლები და შვილებს ეუბნებოდნენ, რომ ეს სიხარული მათ ბავშვების დიდმა ქომაგმა - წმინდა ნიკოლოზმა მოუტანა. X-XVI საუკუნეებში ნიკოლოზობას ამგვარად აღნიშნავდნენ ევროპაში. XVI საუკუნიდან კი ბავშვებისათვის საყვარელი 19 დეკემბერი 25 დეკემბერით ჩანაცვლდა, წმინდა ნიკოლოზის სახელი კი - სანტა კლაუსით.

# Pre-New Year mood in BGS

# წინასაახალწლო განწყობა ბიჯიესში

## ფერადი საკლასო ოთახები
## Classrooms in Many Colours

მთელი სკოლა აქტიურად ჩაება საახალწლო სამზადისში: ბავშვებმა ძალიან ლამაზად მორთეს საკლასო ოთახები, ჟიურიმ ორი გამარჯვებული კლასი გამოავლინა: II და VII ა კლასები. ვულოცავთ ჩვენს შემოქმედებით და გემოვნებიან ბავშვებს.

The whole school was actively engaged in preparations for the New Year: the children decorated their classrooms very beautifully, and the special jury named two winning classes: the students of years 2 and 7A. Congratulations to our creative students with excellent taste!



















# წინასაახალწლო განწყობა ბიჯიესში

# Pre-New Year mood in BGS

## პროექტი - ორიგანალური ნაძვის ხე

## Project - An Original New Year Tree



ხელოვნების გაკვეთილზე დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა არაჩვეულებრივი სანახაობა მოგვიწყვეს: პირველ სართულზე ყოველი კლასის წინ გამოიფინა ბავშვების მიერ შექმნილი ულამაზესი და ორიგინალური ნაძვის ხეები, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში.
მადლობა, ხელოვნების მასწავლებლებს.

In the frame of Art lessons, the primary school students presented an extraordinary exhibition: on the ground floor, in front of each classroom, they exposed very beautiful and original Christmas trees, the real samples of decorative and applied art created by the children.

**Many thanks to our art teachers!**

















# წინასაახალწლო განწყობა ბიჯიესში

# Pre-New Year mood in BGS

## დღე - საჩუქარი
## A Boxing Day

19 დეკემბერი, მართლაც, დაუვიწყარი დღე გახლდათ: ჩუმი მეგობრებისგან ბავშვებმა მიიღეს საჩუქრები, დარბაზში კი მოეწყო ნამდვილი კინოთეატრი, ნახეს მათთვის საყვარელი ფილმი, მიირთვეს პოპკორნი. ამ დღისთვის განსაკუთრებით მოემზადნენ მასწავლებლები, მათ სპეციალურად დაგეგმეს სახალისო აქტივობები და არც შეუფასებიათ მოსწავლეები.

December 19 was a truly unforgettable day:

primary school children were taken to the event hall which was turned into a real cinema. There they received gifts from their secret friends, watched their favorite film and were treated to popcorn.

The teachers did their best to plan fun lessons for the middle school students as well. On that day, none of them were assessed or given a homework.





# განსაკუთრებული რა? სად? როდის?

# A Special Game of “What? Where? When?”

დაწყებით საფეხურზე პირველად ჩატარდა ინტელექტუალური თამაში - რა? სად? როდის?
ორ ასაკობრივ კატეგორიად დაყოფილი გუნდები, სახლების მიხედვით იყო დაკომპლექტებული. შეხვედრას ჩვენი ტრადიციული წამყვანი მანუჩარ გუნცაძე წარუძღვა. საკმაოდ დაძაბული და საინტერესო თამაშის შედეგად პირველ ადგილზე გავიდნენ: კელტები (I-II კლასები), იბერები, კოლხები (III-IV კლასები), კელტები (V-VI კლასები). ვულოცავთ გამარჯვებულ გუნდებს!



It was for the first time that the school held the intellectual game “What? When? and Where?” for the junior students.
The teams, were naturally formed by houses, and the game was traditionally hosted by Mr Manuchar Guntsadze.
According to the results of a rather tense and interesting game held in 3 different age groups, the first place was taken by Celts (years 1, 2), Iberians and Colchians (years 3 and 4), and Celts (years 5 and 6).
Congratulations to the winning teams!








ბრიტები
BRITS




კელტები
CELTS






BGS


BRITS


BGS




COLCHIANS


IBERIANS


CELTS

# სიკეთე გადამდებია

# Kindness Is Contagious

ყველა დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო საქველქმოქმედო აქტივობებში: შეგროვდა პროდუქტი, თბილი სამოსი, თანხა, შევიძინეთ მედიკამენტები. დავეხმარეთ: დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატს, საქველმოქმედო ფონდ - “კარიტასს”, მოხუცთა თავშესაფარ - “იმედს”, საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირს - “კათარზისს”. აღსანიშნავია, რომ სახლების კაპიტნები თავად ეწვივნენ ამ ორგანიზაციებს. დიდი მადლობა ყველა ბიჯიესელსა და, რა თქმა უნდა, მშობლებს გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

The entire school community is always enthusiastically involved in charity works. This year we collected food, warm clothes and money, and purchased necessary medicines.
We sent our donations to: Dusheti boarding school for the disabled, the charity fund – ‘Caritas’, and the nursing home – ‘Imedi’.
It is worth noting that these organizations were visited by the captains of the houses themselves.
Many thanks to all the BGS students and, of course, to their parents for their kindness and support.









# The youngest students of BGS

# ყველაზე პატარა ბიჯიესელები

The youngest members of BGS delighted their parents with a wonderful play. To make the day even more magical, Santa Claus made a special appearance at the end and handed out gifts to everyone.




ახალი წელი ყველასთვის საყვარელი დღესასწაულია. პატარა ბიჯიესელებმა მშვენიერი სანახაობა მოუწყვეს მშობლებს. ბოლოს კი სანტა კლაუსმა დაასაჩუქრა ბავშვები!






წმ. გიორგის ქართული - ბრიტანული სკოლა
მ.ალექსიძის II შეს. 6, საბურთალო, თბილისი
ტ. 995 322 60 99 89
დირექტორი: ეკა კვაჭანტირაძე
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი თავაძე

The St. George`s Georgian - British School
M.Aleksidze II Lane 6, Saburtalo, Tbilisi
Tel. 995 322 60 99 89
Headmistress: Eka Kvachantiradze
Chairman of the Board: George Tavadze

# წმინდა გიორგის ქართულ - ბრიტანული სკოლა ბიჭიესის სიახლეები

# News from St. George's Georgian - British School BGS, Tbilisi




## School Mission

The mission of our school is to nurture thoughtful people who are active participants in the progressive society of the modern world.

## სკოლის მისია

სკოლის მისიაა აღზარდოს მოაზროვნე პიროვნება, რომელიც ღირსეულად შეძლებს ინტეგრირებას თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებაში.